International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 5, Issue 1

Journal homepage: http://journal.ciu.edu.ge/

DOI: https://doi.org/10.55367/PHCW7419

The Importance of the Burden of Proof and Evidence in Discrimination Disputes

Tinatin Tsinaridze [1]
PhD student, Caucasus International University

A B S T R A C T

Freedom and equality are constitutional principles that underpin the rule of law. This paper examines civil proceedings in discrimination disputes, focusing on the allocation of the burden of proof, the challenges faced by victims of discrimination in gathering evidence, and relevant international practices. It also examines the role of the Public Defender in adjudicating discrimination cases, particularly through the submission of amicus curiae opinions, and analyzes the significance and positive procedural implications of their admissibility in civil proceedings.

Under current legislation, the parties are responsible for proving the facts upon which their claims are based and must present evidence to support or refute allegations of discrimination. Accordingly, the allocation of the burden of proof is crucial in discrimination cases, both from procedural and substantive legal perspectives. Once the burden is assigned, a party's failure to present evidence or fulfil its evidentiary obligations will result in negative legal consequences.

Another key focus of the study is access to justice and procedural equality for persons with disabilities. In particular, the paper addresses issues related to legal representation in court for such individuals. Under existing law, attorneys must be certified to represent clients; however, this requirement posed challenges for individuals with psychosocial disabilities who may be unable to articulate their will fully. To address this, a legislative innovation introduced the concept of the "special plaintiff," a new procedural actor that allows organizations advocating for the rights of persons with disabilities to participate directly in civil discrimination proceedings. This has facilitated greater protection of procedural rights for persons with disabilities. The paper also considers the potential to extend this model to other vulnerable groups, thereby improving access to justice more broadly (Kharitonashvili, 2024).

As of 2025, only three organizations are registered as special plaintiffs, underscoring the need to raise awareness among relevant stakeholders. Increasing participation by such organizations would enhance legal representation in discrimination disputes and strengthen protections for victims.

Given the complexity of evidentiary distribution and collection in discrimination litigation, the study compares common law and continental legal systems. This includes an analysis of case law, doctrinal approaches, and procedural norms, particularly in light of EU directives. Additionally, the paper evaluates anti-discrimination norms within religious legal systems. Notably, while Islamic law upholds

[1] Tinatin.tsinaridze@ciu.edu.ge

principles of justice and equality in labor relations, there remains limited judicial practice in discrimination cases compared to other jurisdictions.
Through this comparative analysis, the paper offers recommendations for improving national legislation, especially concerning the burden of proof and evidentiary standards in discrimination proceedings..

Keywords: *Discrimination Disputes, Procedural Equality, Access to Justice for Vulnerable Groups, Special Plaintiff, Affirmative Legal Norms at National and International Levels.*

მტკიცების ტვირთის მნიშვნელობა და მტკიცებულებები დისკრიმინაციის დავებში

თინათინ ცინარიძე
დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

თავისუფლება და თანასწორობა სამართლებრივი სახელმწიფოს საყრდენი კონსტიტუციური პრინციპებია. ნაშრომში განხილულია სამოქალაქო სამართალწარმოება დისკრიმინაციის დავებში, მტკიცების ტვირთის განაწილების თავისებურებანი, ამ კატეგორიის დავებში დისკრიმინაციის მსხვერპლის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების სირთულეები, ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო პრაქტიკა, სახალხო დამცველის როლი დისკრიმინაციის დავის განხილვისას, სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარდგენა სახალხო დამცველის მიერ, მისი დასაშვებობის დადებითი მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში და მნიშვნელობა.

საგულისხმოა, რომ მოქმედი კანონმდებლობით სწორედ მხარეებმა უნდა დაამტკიცონ გარემოებანი, რომელსაც ეფუძნება მათი მოთხოვნები და შესაგებელი დისკრიმინაციის დასამტკიცებლად ან გასაქარწყლებლად წარუდგინონ სასამართლოს მტკიცებულებები. შესაბამისად, მტკიცების ტვირთის განაწილებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა დისკრიმინაციის დავებში, როგორც საპროცესო აგრეთვე, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით. მტკიცების ტვირთის გადანაწილების შემდგომ, თუ მხარე ვერ უზრუნველყოფს მტკიცებულებათა წარდგენას ან არაჯეროვნად განახორციელებს მტკიცების ტვირთის მოვალეობას, ცხადია მოჰყვება მისთვის უარყოფითი, არახელსაყრელი შედეგი.

დისკრიმინაციის დავების შესწავლისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, შშმ პირთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის და საპროცესო თანასწორობის საკითხის შესწავლა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შემდგომში - შშმ პირთა) უფლებების დაცვის მიზნით. შესაბამისად, კვლევაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო შშმ პირთა წარმომადგენლობას სასამართლოში, კერძოდ, მათი უფლებების დასაცავად აუცილებელი იყო კანონმდებლობით დადგენილი წესით რწმუნებულების დამოწმება, რაც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე შშმ პირის შემთხვევაში ვერ სრულდებოდა. რადგან ფსიქოსოციალური საჭიროების პირის მიერ ვერ ხერხდებოდა ნების სრულყოფილად გამოხატვა. სწორედ ამ მიზნით, კანონმდებელმა შემოგვთავაზა სიახლე, გაჩნდა ახალი საპროცესო სუბიექტი - სპეციალური მოსარჩელე. საკითხის ამგვარმა მოწესრიგებამ გაამარტივა დისკრიმინაციის დავებზე შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების მონაწილეობა სამოქალაქო პროცესში, შშმ პირთა საპროცესო უფლებების სრულყოფილად დაცვის მიზნით. კვლევის ფარგლებში შემოთავაზებულია მსჯელობა აღნიშნული ნორმების

სხვა მოწყვლადი ჯგუფების დავებში გავრცელების შესახებ, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას მოწყვლადი ჯგუფებისთვის (ხარიტონაშვილი, 2024). საგულისხმოა, რომ 2025 წლის მდგომარეობით, სპეციალური მოსარჩელის რეესტრში რეგისტრირებულია მხოლოდ 3 ორგანიზაცია. მაშინ როდესაც მნიშვნელოვანია ამ ორგანიზაციების პროცესში მონაწილეობა მათი გამოცდილების გათვალისწინებით. ამ მიზნით, აუცილებელია კონკრეტული სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლება, რაც გაზრდის შშმ პირთა მიერ დისკრიმინაციის დავებში სპეციალური მოსარჩელის მქონე ორგანიზაციების მონაწილეობის წილს და გააუმჯობესებს დისკრიმინაციის მსხვერპლთა დაცვის ხარისხს.

დისკრიმინაციის დავებში მტკიცებულებათა განაწილების და მტკიცებულებათა მოპოვების სირთულისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, კვლევა მნიშვნელოვნად მოითხოვდა საერთო და კონტინენტური სამართლის სისტემათა შედარებას, რაც განხორციელდა სასამართლო პრაქტიკისა და დოქტრინით დადგენილი მომწესრიგებელი ნორმების ანალიზის და საპროცესო ნორმების შედარებით ევროკავშირის დირექტივებთან. შეფასდა აგრეთვე, რელიგური სამართლის სისტემით გათვალისწინებული ანტიდისკირიმინაციული კანონმდებლობა და დისკრიმინაციის მარეგულირებელი ნორმები. აღსანიშნავია, რომ ისლამური სამართალი იცნობს შრომით ურთიერთობებში სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპებს, დისკრიმინაციის აკრძალვას, მაგრამ საზღვარგარეთის ქვეყნებთან შედარებით დისკრიმინაციის დავებზე შექმნილი სასამართლო პრაქტიკა მწირია.

სამართლის სისტემათა შესწავლით, ნაშრომში წარმოდგენილია მსჯელობა, დისკრიმინაციის დავებში მტკიცების ტვირთის განაწილების, მტკიცებულებათა მოპოვების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: *დისკრიმინაციის დავები, პროცესუალური თანასწორობა, მოწყვლადი ჯგუფებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, სპეციალური მოსარჩელე, მტკიცებითი სამართალი ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.*

1. შესავალი

თავისუფლება და თანასწორობა სამართლებრივი სახელმწიფოს საყრდენი კონსტიტუციური პრინციპებია. 2014 წელს, ევროინტეგრაციის ფარგლებში საქართველომ იკისრა ვალდებულება მოქმედი კანონმდებლობის ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის. სწორედ ამ მიზნით, შემუშავდა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის პაკეტი, რომელიც შედარებით უახლესია და საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას. კვლევის ფარგლებში, განხორციელდა საკანონმდებლო სიახლეების იმპლემენტაციის ეტაპზე წამოჭრილი სირთულეების შესწავლა და ანალიზი, შესაბამისი სამართლებრივი მიგენებებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბებისთვის.

ნაშრომი ეხება კონკრეტულად სამოქალაქო სამართალწარმოებაში დისკრიმინაციის დავებში მტკიცების ტვირთის განაწილების თავისებურებას, სასამართლოს როლს ამ კატეგორიის დავების განხილვისას, მტკიცებულებების მოპოვების სირთულეებს და მტკიცებულებათა სახეებს. ყურადღება მახვილდება დისკრიმინაციის დავებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში - შშმ პირი) პირთა უფლებების დაცვის მიზნით, ახალი საპროცესო სუბიექტის - სპეციალური მოსარჩელის დამკვიდრებას, რომელსაც განსაკუთრებული როლი აქვს შშმ პირთა შესაძლო დისკრიმინაციის ფაქტზე დავის წარმოებისას. სპეციალური მოსარჩელის განხილვისას განსაკუთრებით საინტერესო საკითხია მხარეთა ნების ავტონომია და დისპოზიციურობის პრინციპის დაცვა.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში სწორედ მხარეებმა უნდა დაამტკიცონ გარემოებანი, რომელსაც ეფუძნება მათი მოთხოვნები და შესაგებელი დისკრიმინაციის დასამტკიცებლად ან გასაქარწყლებლად და წარუდგინონ სასამართლოს მტკიცებულებები. შესაბამისად, მტკიცების ტვირთის განაწილება არის პროცესის ქვაკუთხედი, როგორც საპროცესო აგრეთვე, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით. მტკიცების ტვირთის მხარეებზე სწორად გადანაწილება უზრუნველყოფს თანასწორობას.

2. მასალები და მეთოდები

ანტიდისკრიმინაციული ნორმების შესწავლის, ანალიზისა და შეფასების ეტაპზე, კვლევა დაეფუძნა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VII[3] კარით გათვალისწინებული დისკრიმინაციის დავებზე მოქმედ საპროცესო ნორმებს (363[1]-363[6]), ევროკავშირის დირექტივებს, სახელმძღვანელოებს, რეკომენდაციებს და წევრი ქვეყნების მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის იმპლემენტაციის ანგარიშებს. (Farkas L., O'Farrell,, 2014) ნაშრომში დეტალურად არის განხილული დისკრიმინაციის თითოეული ნიშნით საქმის წარმოებისას მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, დგინდება, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ დავებზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს, მხარეთა მიერ მტკიცებულებათა მოპოვება. სწორედ ამ შემთხვევაში ეკისრება მოსამართლეს/სასამართლოს მნიშვნელოვანი როლი სწორად გაანაწილოს მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის, იმგვარად, რომ მოსარჩელეს ან მოპასუხეს არ დაეკისროს ფაქტების მტკიცების და მტკიცებულებების მოპოვების გაუმართლებელი ტვირთი. ამდენად, სწორედ ამგვარი რთული კატეგორიის საქმეში, როგორიც დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავებია უდიდესი მნიშვნელობა აქვს მტკიცების ტვირთს, რადგან სასამართლო მიღებულ გადაწყვეტილებას სრულად აფუძნებს მხარეთა მიერ განხილვის ეტაპზე წარდგენილ ფაქტებს და მტკიცებულებებს. დისკრიმინაციის დავების განხილვისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ საქმეებს, შემუშავებულ რეკომენდაციებს და სასამართლოში წარდგენილ სასამართლო მეგობრის მოსაზრებებს.

შშმ პირთათვის მართმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესწავლის მიზნით, განხორციელდა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (CRPD) და მისი დამატებითი ოქმის შესწავლა, რომლითაც აღიარებულია შშმ პირთა თანასწორუფლებიანობა და საკუთარი უფლების სრულყოფილად რეალიზების შესაძლებლობა. შშმ პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის რატიფიკაცია საქართველომ 2014 წელს მოახდინა, რითიც იკისრა საერთაშორისო სტანდარტების დაცვის ვალდებულება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. 2021 წელს, კი განხორციელდა კონვენციის ფაკულტატურული ოქმის რატიფიკაცია. კვლევა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, რომელიც განამტკიცებს შშმ პირთა უფლებებს და მათი ინტერესების რეალიზებას. აგრეთვე, "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ"[2] საქართველოს კანონს. კვლევის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შემუშავებულ სპეციალურ ანგარიშებს და სასამართლო პრაქტიკას. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა ამოქმედდა 2014 წლიდან, შესაბამისად, არ არსებობს სიღრმისეული კვლევა დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ დავებზე მტკიცების ტვირთის განაწილების, სპეციალური მოსარჩელისა და სხვა საპროცესო საკითხებთან მიმართებით.

სტატიაში განხილული შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ეფუძნება საერთო და კონტინენტური სამართლის სისტემით დისკრიმინაციის დავების მომწესრიგებელი ნორმების ანალიზს და საპროცესო ნორმების შედარებას ევროკავშირის დირექტივებთან, აგრეთვე, რელიგური სამართლის სისტემის ფარგლებში, ანტიდისკრიმინაციული ნორმების შესწავლას. კვლევა ეყრდნობა ევროკავშირის წევრი ქვეყნების შეფასების

[2] "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი, 2020

ანგარიშებს, რომელიც მომზადებულია ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ და მიმოიხილავს თითოეული ქვეყნის მიერ ანტიდისკრიმინაციული ნორმების შემუშავების ეტაპებს და იმპლემენტაციის პროცესებს.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ნორმატიული მეთოდი, მტკიცების ტვირთის განაწილების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების და დოქტრინების შეფასების მიზნით. შედარებითი სამართლებრივი მეთოდი - მტკიცების ტვირთის კონტინენტური და საერთო სამართლის, აგრეთვე, რელიგიური ქვეყნების საპროცესო სამართალთან შედარების მიზნით, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების სამართლებრივი შეფასებისთვის. სისტემურ-სტრუქტურული ანალიზისა და ლოგიკური აზროვნების, სინთეზის მეთოდით განხორციელდა კონვენციების, საერთაშორისო აქტების, ევროპის საბჭოს კანონმდებლობის შესწავლა, რომლის საფუძველზეც შემუშავდა დასკვნები ეროვნული კანონმდებლობის შესაძლო გაუმჯობესების მიზნით.

3. შედეგების განხილვა

კვლევის ფარგლებში, ნათლად გამოიკვეთა, რომ ევროკავშირის სამართლით შემუშავებული ანტიდისკრიმინაციული ნორმები, ყველა წევრ ქვეყანაში არის დანერგილი, რაც უზრუნველყოფს თანასწორობას. აგრეთვე, ხაზს უსვამს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტების დანერგვის აუცილებლობას ევროვნულ კანონმდებლობებში. კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დისკრიმინაციის დავების განხილვისას ევროკავშირის წევრი ქვეყნები იყენებენ ძირითადად ევროდირექტივის შესაბამისად, მტკიცების ტვირთის შებრუნების წესს, რაც გულისხმობს, მოსარჩელის მიერ შესაძლო დისკრიმინაციული ფაქტის დამტკიცების შემდგომ მტკიცების ტვირთის შებრუნებას. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სამართლის სისტემის შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა განსხვავებული და საინტერესო სასამართლო პრაქტიკა, რომლის ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვის შესახებ მსჯელობა მოცემულია სტატიის დასკვნით ნაწილში.

კვლევაში ხაზგასმულია დისკრიმინაციის დავებში მტკიცებულებათა მოპოვების ნაწილში სახალხო დამცველის როლი. სახალხო დამცველს აქვს რესურსი, რომ ფართო პრიზმით შეისწავლოს საკითხი, მოიძიოს საერთაშორისო პრაქტიკა საჯარო თუ კერძო სექტორიდან, მოიპოვოს მტკიცებულებები და დისკრიმინაციის დავის განხილვისას ხელი შეუწყოს სამოქალაქო სამართალწარმოებას სასამართლო მეგობრის მოსაზრების წარდგენით. საგულისხმოა, რომ საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვანია სპეციალური მოსარჩელის სტატუსის გავრცელება სხვა მოწყვლადი ჯგუფების დავებზე

რაც უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ზრდას ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური უმცირესობებისთვის.

4. მტკიცების ტვირთის განაწილება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ დავებში

დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით მტკიცების ტვირთის განაწილება არის სამოქალაქო სამართალწარმოების ქვაკუთხედი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი არეგულირებს მტკიცების ტვირთის სტანდარტს, რომლის თანახმად, მხარეებმა უნდა დაამტკიცონ გარემოებანი, რაზეც ამყარებენ თავის სასარჩელო მოთხოვნას და შესაგებელს. მტკიცების ტვირთი სამოქალაქო სამართალწარმოებაში ობიექტურად და თანაბრად ნაწილდება შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით და ეფუძნება სადავო საკითხის მარეგულირებელ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებს. სამოქალაქო სამართალწარმოება სრულად ეფუძნება მხარეთა შეჯიბრს დაარწმუნონ სასამართლო კონკრეტული პოზიციის სისწორეში (მესხიშვილი, 2022, გვ. 22-23) .

სასამართლო მტკიცება მოიცავს მტკიცებულებათა შეგროვებას, შემოწმებას და შეფასებას, იმ მიზნით, რომ მნიშვნელოვან ფაქტებს დაეფუძნოს გადაწყვეტილება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, მხარეებს აქვთ შესაძლებლობა თავად მიუთითონ ფაქტებზე, რომელზეც ამყარებენ სასარჩელო მოთხოვნას. ხოლო სასამართლოს უფლებამოსილებაა სამართლებრივად შეაფასოს წარმოდგენილი ფაქტები (ლილუაშვილი, 2005, გვ. 149-162). სასამართლოს მიერ მტკიცებულებები ფასდება შინაგანი რწმენით, რომელიც ყალიბდება მტკიცებულებათა შეფასებით და ადასტურებს გარემოებებს. საქმის განხილვისთვის, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ირიბია თუ პირდაპირი, მათი წარდგენა წარმატებული იქნება, თუ მხარე შეძლებს დაარწმუნოს სასამართლო მტკიცებულების რელევანტურობაში. სასამართლომ კონკრეტულ საქმეზე მტკიცების საგნის გასაზღვრისთვის, აუცილებელია იხელმძღვანელოს მხარეთა მიერ წარმოდგენილი ფაქტებით (სარჩელი/შესაგებელი), ამასთან, სასამართლო ვალდებულებაა მტკიცების საგანში არ შეიტანოს ფაქტები, რომელსაც არ აქვს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობა და არ მიიღოს მტკიცებულებები მათ დასამტკიცებლად (თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, 2007, გვ. 201).

სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპია - „actori incumbit probatio[3]", რაც ნიშნავს, რომ მოსარჩელეს ეკისრება მტკიცების ტვირთი. მტკიცებით სამართალში განასხვავებენ ნორმატიულ და პრეზუმირებულ მტკიცების წყაროს. დისკრიმინაციის დავებზე

[3]ტერმინის განმარტება: მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს. იხ. ბმული: https://cutt.ly/qe3cUCEv [ბ.ნ. 10.03.25]

ვრცელდება ნორმატიული წყაროები, რაც ნიშნავს, რომ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის განაწილება, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[3]-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე ვალდებულია იურიდიული ფაქტებითა და მტკიცებულებებით შექმნას დისკრიმინაციის ვარაუდი, ხოლო მოპასუხე ვალდებულია ამტკიცოს, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. (მესხიშვილი, 2022, გვ. 25) 2013 წელს, ცვლილება შევიდა შრომის კანონმდებლობაში და შეიცვალა მტკიცების გადანაწილების წესი, კერძოდ, თუ დისკრიმინაციის საფუძვლით მოხდება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, შეიქმნება დისკრიმინაციის გონივრული ეჭვი, მტკიცების ტვირთი გადადის დამსაქმებელზე. (შველიძე, 2019, გვ. 199) აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცების ტვირთის თავისებურებით ხასიათდება სხვადასხვა კატეგორიის დავები, მათ შორის, სამედიცინო ანაზღაურების და საოჯახო სამართლებრივი დავები.

მტკიცების ტვირთი ეკისრება მას ვინც ამტკიცებს, ვისი ინტერესიც არის დაამტკიცოს ესა თუ ის სამართლებრივი შედეგი და არა მას, ვინც უარყოფს. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი ნაწილდება თანაბრად, მაგრამ დავის სამართლებრივი მახასიათებლების გათვალისწინებით შესაძლებელია მტკიცების ტვირთის განაწილება განხორციელდეს ზოგადი წესით ან სპეციალური საპროცესო და მატერიალური ნორმებით. სასამართლო პრაქტიკაში არსებობს საქმეები (სუსგ, Nას-1294-1214-2015, 2016), (სუსგ, Nას-1203-1130-2015, 2016), როდესაც სასამართლომ არასწორად განახორციელა მტკიცების ტვირთის განაწილება (სუსგ,Nას-872-830-2013,2014), რის საფუძველზეც არ დაკმაყოფილდა სარჩელი. სასამართლო სისტემა სამოქალაქო სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთის განაწილებას შეცდომით ახორციელებს, როდესაც მტკიცების ტვირთზე არ ვრცელდება ზოგადი წესები და სპეციალური წესით ანუ პრეზუმციებით არის განაწილება აუცილებელი. (ახალაძე, 2018, გვ. 98) სწორედ დისკრიმინაციის დავები მიეკუთვნება ზემოაღნიშნულ დავათა კატეგორიას, როდესაც განსაკუთრებით რთული, კომპლექსური და საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად განაწილება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დისკრიმინაციის დავების განხილვისას, სასამართლო იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[3]-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთი სტანდარტს. ადმინისტრაციული პროცესი იცნობს ინკვიზიციურობის პრინციპს, შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მოიძიოს მტკიცებულებები და ინფორმაცია, რაც მხარეთა მიერ არ იქნა საქმეში წარდგენილი. (მ. ვაჩაძე, ი. თორდია, პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე, 2005) ამდენად, ჩნდება კითხვა, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთის შებრუნების საჭიროების. მტკიცების ტვირთის შებრუნების მიზანი არის ობიექტურად მოხდეს მტკიცებულებების შეფასება, რომლის წარმოდგენის შესაძლებლობაც არ ჰქონდა დისკრიმინაციის მსხვერპლს. სწორედ ამ მიზნით, განხორციელდა კვლევის ფარგლებში საკითხის სიღრმისეული შესწავლა და

ანალიზი. ევროკავშირის სამართლით, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტს აღიარებს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია, დისკრიმინაციის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვა განხორციელდეს თანაბარი მოპყრობის პირობებში. საგულისხმოა, რომ დისკრიმინაციის დავებში მსხვერპლისთვის არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია, მტკიცებულებები და მასალები, რაზე დაფუძნებითაც მოითხოვს საკუთარი დარღვეული უფლებების აღდგენას. მნიშვნელოვანია, მტკიცების ტვირთის საკითხი გადანაწილდეს მოპასუხეზე, პოტენციური დისკრიმინაციის ფაქტის ჩამდენზე, რითიც დაცული იქნება სამართალწარმოებაში მხარეთა თანასწორობის პრინციპი. მტკიცების ტვირთის მოპასუხეზე გადატანა დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ დავებში ევროკავშირის სამართლით განპირობებულია ორი ფაქტორით: ა) სამართლებრივ ურთიერთობებში მოხდეს სუსტი მხარის დაცვა, ბ) გაიზარდოს მტკიცებულებებზე ხელმისაწვდომობა, რაც უზრუნველყოფს სამართალწარმოებაში მხარეთა თანასწორობას.

ევროკავშირის დირექტივები დისკრიმინაციის დავებში მტკიცების ტვირთის გადატანას ითვალისწინებს, როგორც სასამართლო პროცესში, აგრეთვე, ნებისმიერი სამართლებრივი მექანიზმით დისკრიმინაციის ფაქტის განხილვისას. დისკრიმინაციის დასამტკიცებლად მსხვერპლის მიერ უნდა დასახელდეს შემდეგი ფაქტები: ა) მის მიმართ არათანაბარი მოპყრობის ქმედების დეტალური აღწერა; ბ) პირთა ჯგუფი და ნიშანი (კომპარატორი) ვისთან შედარებით მოხდა არათანარ პირობებში ჩაყენება, განსხვავებული მოპყრობა; გ) მსხვერპლის აღქმა, რა ნიშნით მოხდა არათანაბარი მოპყრობა და რომელი დაცული ნიშანი დაირღვა.

თუ მსხვერპლის მიერ აღწერილი, მითითებული ფაქტები იძლევა შესაძლებლობას დასაბუთდეს დისკრიმინაციის პრეზუმცია, ასეთ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი გადადის მოპასუხეზე, ანუ დისკრიმინაციის ჩამდენზე. შესაბამისად, მსხვერპლსაც მხოლოდ იმ მტკიცებულებების წარდგენა ევალება, რისი მოპოვების შესაძლებლობაც აქვს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შესაძლებელია არსებობდეს განსხვავებული მოპყრობა, დისკრიმინაციული ფაქტი, მაგრამ მსხვერპლის მიერ ვერ მოხდეს ფაქტის სამართლებრივად სწორად იდენტიფიცირება. ამ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა დამცველს და სხვა კვაზი სასამართლოს აქვს ვალდებულება დაეხმაროს მსხვერპლს დაცული ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის შეფასებაში.

საგულისხმოა, რომ დისკრიმინაციის დავებში მხოლოდ დაცული ნიშნით განსხვავებულ მოპყრობაზე მითითება, არ არის საკმარისი მტკიცების ტვირთის მოპასუხეზე გადასატანად, განსხვავება მუდმივად იარსებებს სხვადასხვა გარემო ფაქტორებით, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ prima facie არსებობისთვის აუცილებელია გარკვეული ფაქტების ან მტკიცებულებების წარმოდგენა და მიზეზობრივი კავშირის დადგენა. ევროკავშირის კანონმდებლობა წევრ სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას თავად განსაზღვრონ

მტკიცების ტვირთის სამართლებრივი მოწესრიგების სპეციალური პირობები ეროვნული კანონმდებლობით. შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებში ვხვდებით მტკიცების ტვირთის იმპლემენტაციის პროცესში განსხვავებულ მიდგომებს. ევროპის საბჭოს მიერ მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის იმპლემენტაცია წევრი ქვეყნების (მათ შორის, ხორვატია, ჩეხეთი, ფინეთი, მაკედონია, გერმანია, ლიტვა, ნიდერლანდები, პოლონეთი, სლოვაკეთი, შვედეთი და დიდი ბრიტანეთი) მიერ განხორციელდა სხვადასხვა გზით, რიგ შემთხვევაში ანტიდისკრიმინაციული ნორმები ინტეგრირდა სამოქალაქო საპროცესო ნორმებში, შრომის კანონმდებლობაში და მომზადდა სპეციალური კანონების სახით.

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის და დარღვეული უფლებების აღდგენის ერთადერთი ეფექტური მექანიზმია სასამართლო. მტკიცებით სამართალში, მტკიცების ტვირთი ეკისრებათ მხარეებს. თითოეულმა მხარემ უნდა ამტკიცოს გარემოებები და მათი წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები. მტკიცების ტვირთი განსაკუთრებით რთულია დისკრიმინაციის დავებში, მოსარჩელესთვის, რომელმაც უნდა წარმოადგინოს უტყუარი, მყარი, სარწმუნო და დასაბუთებული მტკიცებულებები. სწორედ ეს საკითხია, პრაქტიკაში პრობლემური, ხშირ შემთხვევაში, მსხვერპლს არ აქვს წვდომა საკმარის მტკიცებულებებზე, რომ სასამართლოში ამტკიცოს ფაქტები. მიზეზი კი მარტივია, დისკრიმინაციის ჩამდენი დომინანტურ მდგომარეობაშია და აკონტროლებს მტკიცებულებებს, მაგალითად დამსაქმებლი, უძრავი ქონების მესაკუთრე, სერვისის გამცემი, რესტორნის მეპატრონე და სხვა. მტკიცების ტვირთის გადატანა მოპასუხეზე, რა თქმა უნდა, არ უნდა ემსახურებოდეს გაუმართლებელი ტვირთის დაკისრებას. მოპასუხეს აქვს ვალდებულება ამტკიცოს, რომ მოსარჩელის მიერ დასახელებული ფაქტები ეფუძნება ობიექტურ და ლეგიტიმურ საფუძვლებს, შესაბამისად, ადგილი არ ჰქონდა დისკრიმინაციული მოპყრობას. თანასწორობის უფლება (Status Relativus) იცავს ადამიანს ყოველგვარი დისკრიმინაციისგან და უთანასწორო მოპყრობისგან სახელმწიფოს მხრიდან. (ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე, 2011, გვ. 78) სახელმწიფო, როგორც წესი, არ არის შეზღუდული სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობისას ადამიანის ძირითადი უფლებებით. მხოლოდ თანასწორობის უფლება არის ერთადერთი გამონაკლისი. ხელისუფლების მხრიდან თანასწორობის პრინციპის დარღვევის ნათელი მაგალითია, ჯერ კიდევ გერმანიის ფაშისტური ხელისუფლების მიერ ღიად გაკეთებული განაცხადი, რომ სახელმწიფო შესყიდვისას არ ითანამშრომლებდნენ ებრაელებთან და მათ მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებთან. (ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე, 2011, გვ. 80) ამ შემთხვევაში ნათელია, რომ საჯაროდ მოხდა დისკრიმინაციული მოპყრობის გაცხადება. ევროდირექტივებით გათვალისწინებული რეგულაციებით, თუ მოპასუხე თავად აღიარებს ჩადენილ დისკრიმინაციულ ფაქტს, აღარ არის საჭირო მოტივის, მიზეზობრივი კავშირის დადგენა და მტკიცების ტვირთის შებრუნება. აგრეთვე, თუ მოსარჩელის მიერ შესაძლო დისკრიმინაციული ფაქტის მტკიცების მიზნით, დისკრიმინაციის მსხვერპლი ითხოვს

ინფორმაციას დამსაქმებლისგან, რომელიც არ გასცემს პერსონალურ მონაცემებს, ამ შემთხვევაში, სასამართლოს ეკისრება გადამწყვეტი როლი სწორად შეაფასოს მოთხოვნილი მასალების მნიშვნელობა საქმის გადაწყვეტისთვის.

საფრანგეთის მოქმედი კანონმდებლობით დისკრიმინაციის მსხვერპლი წარადგენს, მხოლოდ ფაქტებს დისკრიმინაციის ვარაუდისთვის და არ აქვს ვალდებულება ფაქტებსა და მტკიცებულებებს შორის დაადგინოს მიზეზობრივი კავშირი. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, საფრანგეთის კანონმდებლობა იყენებს ინკვიზიციურ პრინციპს, შესაბამისად, მოსამართლეს შეუძლია თავად მოიძიოს საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები. რაც გულისხმობს, რომ მოსამართლე აქტიურად მონაწილეობს მტკიცებულებების შეგროვების და შეფასების პროცესში. საფრანგეთის მოდელი დადებითად არის შეფასებული ევროკავშირის სამართლით და სხვა ქვეყნებისთვის მაგალითად სახელდება. მნიშვნელოვანი სხვაობა არსებობს საფრანგეთსა და გერმანიის სისტემას შორის. საგულისხმოა, რომ გერმანიაში, უფრო კომპლექსურად ხდება მტკიცების ტვირთის განაწილება. (საბჭო, საფრანგეთის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის, ევროდირექტივების 2000/43 და 2000/78 იმპლემენტაციის ანგარიში,, 2004) გერმანულ სამოქალაქო სამართალწარმოებაში, თითოეული მხარე ამტკიცებს მისთვის ხელსაყრელ სამართლებრივ გარემოებას საქმის მის სასარგებლოდ გადაწყვეტისთვის. ამ თვალსაზრისით, გერმანული და ქართული სამართალი სრულ თანხვედრაშია. გერმანიაში, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ობიექტურად განაწილებასთან დაკავშირებით განსხვავებული პრაქტიკა დაინერგა. ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მხარის ვალდებულება არის სამართლებრივი დავისას არგუმენტირებულად დაასაბუთოს სადავო ფაქტები. თუ სასამართლო ჩათვლის, რომ დაუსაბუთებელია წარმოდგენილი პოზიცია და ფაქტები, აღარ განიხილავს მტკიცების ტვირთის საკითხს და არ ახდენს მტკიცებულებების შეფასებას. რა თქმა უნდა, ხარვეზის შემთხვევაში, მხარეს ეძლევა დამატებითი დრო ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად. გერმანიაში მტკიცების ტვირთის სამართალი მჭიდროდ არის დაკავშირებული მატერიალურ სამართალთან (უ. ჰაგენლოხი, 2018). გერმანული სამართლით[4] დისკრიმინაციის დავებში მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებისთვის აუცილებლად უნდა არსებობდეს სამი პუნქტი კუმულაციურად ა) არათანაბარი მოპყრობა ბ) მიზეზობრიივ კავშირი დაცულ ნიშანთან გ) განსხვავებული მოპყრობის ობიექტური მიზეზი ან ლეგიტიმური საფუძველი.

ევროსაბჭოს 97/80/EC დირექტივა არეგულირებს სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებში მტკიცების ტვირთის განაწილებას. დირექტივის თანახმად, თუ დისკრიმინაციის მსხვერპლი მიიჩნევს, რომ მის მიმართ არ არის გამოყენებული თანაბარი მოპყრობის პრინციპი და ადგილი ჰქონდა პირდაპირ ან არაპირდაპირ დისკრიმინაციას, ამ

[4] გერმანიის თანასწორობის აქტი, 22-ე მუხლი მტკიცების ტვირთი https://cutt.ly/ie9yOs3r [ბ.ნ. 10.03.25]

შემთხვევაში, მოპასუხე არის ვალდებული ამტკიცოს, რომ თანაბარი მოპყრობის პრინციპი არ დარღვეულა (ო. დე შუტერი, 2021) მტკიცების ტვირთის განაწილების ორი პრეცედენტული საქმეა (Case 109/88, Danfoss CJEU 3199, 1989), (Case C-127/92, Enderby, CJEU I-5535, 1989). ორივე საქმე შეეხებოდა გენდერული ნიშნით შრომის ანაზღაურების განსხვავებას, კერძოდ, ორგანიზაციაში ქალისა და მამაკაცის ანაზღაურება 20%-ით განსხვავდებოდა. ანაზღაურების სისტემის პრინციპები და კრიტერიუმები იყო გამჭვირვალე, მაგრამ მაინც იწვევდა ირიბ დისკრიმინაციას. საქმეში მოსარჩელეთა მიერ მტკიცებულებად წარდგენილი იყო სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც სარწმუნოდ მიიღო სასამართლომ და მტკიცების ტვირთი მოპასუხეს დააკისრა.

მტკიცების ტვირთის განაწილების წესზე მსჯელობისას განსაკუთრებით საინტერესოა, 1973 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს მიერ სამოქალაქო უფლებების აქტის (Civil Rights Act) საფუძველზე განხილული McDonnell Douglas Corp. v. Green- ის დისკრიმინაციის საქმე, რომელმაც შემოგვთავაზა მტკიცების ტვირთის განაწილების განსხვავებული (McDonnell Douglas Corp. v. Green 1973) სისტემა. კერძოდ, პირველ ეტაპზე, მოსარჩელე უთითებს დისკრიმინაციის ფაქტზე, როგორც Prima Facie, მეორე ეტაპზე, მოპასუხე არის ვალდებული ამტკიცოს არადისკრიმინაციულობა და განსხვავებული მოპყრობის ლეგიტიმურობა, მესამე ეტაპზე, მტკიცება ისევ ბრუნდება მოსარჩელეზე, რომელიც ამტკიცებს წარდგენილი მტკიცებულებების უსაფუძვლობას და დისკრიმინაციის შენიღბვის მცდელობას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული საქმე პრეცედენტულია და დღესაც აქტიურად გამოიყენება დისკრიმინაციის დავებში მტკიცების ტვირთის სამაგალითო სტანდარტად.

ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობამ სრულყოფილად მოახდინა ევროდირექტივებთან ეროვნული სამართლის ჰარმონიზაცია და მტკიცების ტვირთის იმპლემენტაცია დისკრიმინაციის დავებში, მაგრამ არსებობს განსხვავებული პრაქტიკა. მაგალითად უნგრეთის კანონმდებლობით მოსარჩელემ უნდა წარმოადგინოს ფაქტები, მაგრამ არ არის ვალდებული ამტკიცოს მიზეზობრივი კავშირი. განსხვავებული მიდგომა აქვს გერმანიას, პორტუგალიას და პოლონეთს, სადაც აუცილებლად უნდა დადასტურდეს დისკრიმინაციის საფუძველი, ფაქტები და მათ შორის მიზეზობრივი კავშირი. (ლ. ფარკასი და ორლაფ ო ფარელი, 2014, p. 75) საფრანგეთის კანონმდებლობით მოპასუხემ უნდა ამტკიცოს, რომ ქმედება იყო ობიექტური საფუძვლით განპირობებული და არ იყო დისკრიმინაციის მოტივი. დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობით მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი რეგულირებულია თანასწორობის აქტით, რომელიც ითვალისწინებს დისკრიმინაციის საქმეებში ორ ეტაპიან მტკიცების ტვირთს: ა) მოსარჩელე ამტკიცებს

დისკრიმინაციის ფაქტს და უთითებს დაცული ნიშნით დარღვევაზე, ბ) მოპასუხე არის ვალდებული ამტკიცოს, რომ დარღვევას არ ჰქონდა ადგილი.[5]

საერთაშორისო პრაქტიკით, დისკრიმინაციის დავებში არათანაბარ შესაძლებლობა აქვთ მხარეებს მტკიცებულებების მოპოვების ნაწილში. რაც განპირობებულია გარემოებით, რომ დისკრიმინაციის ჩამდენი არის ძალაუფლების მქონე, ძლიერი მხარე, რომელიც ფლობს შესაბამის რესურსს, ინფორმაციას და მტკიცებულებებს. ხორვატიის რესპუბლიკის ანტიდისკრიმინაციული აქტის შესაბამისად, მტკიცების ტვირთის შებრუნება გამოიყენება დისკრიმინაციის დავებში მხოლოდ სამოქალაქო სამართალწარმოებისას, მაგრამ არ ვრცელდება სისხლის სამართლის სამართალწარმოებაზე. [6]

2009 წელს, საფრანგეთის უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ, განიხილა საქმე სადაც მოსარჩელე ასაჩივრებდა იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებას. ამ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ ინკვიზიციური პრინციპის გათვალისწინებით, სწორედ მოსამართლეს ჰქონდა გადამწყვეტი როლი მტკიცების საგნის განსაზღვრაში, მტკიცებულებების მოპოვებაში და მტკიცების ტვირთის განაწილებაში. მტკიცების პროცესი აუცილებელია სწორად განხორციელდეს საქმის კონკრეტული გარემოებების და სირთულის გათვალისწინებით. (საბჭო, უმცირესობების უფლებების დაცვა, პრაქტიკული სახელმძღვანელო ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შესახებ, 2023) ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დიდმა პალატამ, საქმეში ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ, (ECtHR, Case of Baka v. HUNGARY, [GC], no. 20261/12, 23/ 06/2016)განმარტა მტკიცების ტვირთის თავისებურება. ბაკა იყო მოსამართლე, რომელიც გაათავისუფლა უნგრეთის სახელმწიფომ პოლიტიკური შეხედულებებისთვის. უნგრეთის მხარემ, საქმის მიმდინარეობისას ვერ წარადგინა სარწმუნო მტკიცებულებები, რომ გათავისუფლება ემსახურებოდა ობიექტურ და ლეგიტიმურ მიზანს. არა ერთ საქმეში აქვს შექმნილი მსგავსი მტკიცების ტვირთის პრეცედენტი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს (Zarb adami v Malt, 2006), (Eweida and others v United kingdom, 2013), რომლის განხილვაც საინტერესო დისკრიმინაციის დავებში მტკიცების ტვირთის განაწილებისას. (დ.ჰ. და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ)

საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპების მსგავსად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობაც აღიარებს ორ ეტაპიან მტკიცების სპეციალურ სტანდარტს დისკრიმინაციის დავებში. კერძოდ, მოსარჩელეს აქვს ვალდებულება სასამართლოს წარუდგინოს მყარი, არგუმენტირებული და სარწმუნო მტკიცებულება, ე.წ. „Prima Facie", ხოლო მოპასუხე არის ვალდებული გააბათილოს დისკრიმინაციის ფაქტები. ამ მიზნით,

[5] თანასწორობის აქტი, მუხლი 136, მტკიცების ტვირთი, დიდი ბრიტანეთი, https://cutt.ly/Ue9yNxzE [ბ.ნ. 10.03.25]

[6] ხორვატიის რესპუბლიკის ანტიდისკრიმინაციული აქტი, მე-20 მუხლი,https://cutt.ly/se9yNOqj [ბ .ნ . 10.03.25]

უნდა წარმოადგინოს დამაჯერებელი განმარტება და ამტკიცოს, რომ განსხვავებული მოპყრობა არ წარმოადგენდა დისკრიმინაციას დაცული ნიშნით. დისკრიმინაციის დავების მტკიცების ტვირთის განაწილება ნორმატიული წყაროებით ხდება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[3] -ე მუხლით, რომლის შესაბამისად, მოსარჩელემ უნდა წარადგინოს ფაქტები და მტკიცებულებები, შექმნას დისკრიმინაციის ვარაუდი, რის საფუძველზეც მოპასუხეზე გადადის ვალდებულება ამტკიცოს დისკრიმინაციის არარსებობა. (მესხიშვილი, 2022) დისკრიმინაციის დავებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მტკიცების ტვირთის განაწილებას, კერძოდ, მოსარჩელის მიერ შესაძლო დისკრიმინაციული ფაქტის მტკიცებისას შესაძლებელია საერთოდ არ იყოს სახეზე განსხვავებული მოპყრობა დაცული ნიშნით და გაუმართლებელი პასუხისმგებლობა დაეკისროს მოპასუხეს. შესაბამისად, თუ კი დისკრიმინაციის არარსებობის გამო, ფაქტობრივად მოპასუხე ვერ წარადგენს მტკიცებულებებს, გამოდის, რომ მოპასუხეს ეკისრება პასუხისმგებლობა იმ ქმედებისთვის, რომელსაც არ ჰქონდა ადგილი. დისკრიმინაციის ქმედების შეწყვეტის შემდგომ მოპასუხეს ეკისრება მორალური და/ან მატერიალური ზიანი სულიერი და მორალური ტკივილისთვის. ამ შემთხვევაში, ჩნდება ზიანის მოცულობის საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული კანონმდებლობით და საჭიროებს რეგულირებას. უნდა შემუშავდეს დისკრიმინაციის მსხვერპლის მიერ ზიანის ანაზღაურების მოცულობის დადგენის კრიტერიუმები და პირობები. მაგალითად, მოსარჩელემ გარკვეული მოტივით შესაძლებელია, ამტკიცოს დისკრიმინაცია და მოითხოვოს მორალური ან ფიზიკური ტრამვისთვის არაგონივრული თანხა. აღნიშნული საკითხი არ არის დარეგულირებული სპეციალური მოსარჩელის მიერ დავის წარმოების შემთხვევაშიც, თუ კი თავად მსხვერპლი, შშმ პირი ან თემის წარომადგენლები, არ არიან ჩართულები საქმეში, აქვს თუ არა ზიანის მოთხოვნის უფლება სპეციალურ მოსარჩელეს. სწორედ ამ დროს არის ყველაზე მნიშვნელოვანი მხარეთა თანასწორუფლებიანობის და სამართლის ბალანსის დაცვა. ზიანის ანაზღაურებას მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს, ერთი მხრივ, უნდა დაკმაყოფილდეს დაზარალებული, მეორე მხრივ, ზიანის დაკისრებამ ზემოქმედება უნდა მოახდინოს დისკრიმინაციის ჩამდენზე და შეასრულოს ძლიერი პრევენციული მექანიზმი.

მტიცების ტვირთის განაწილების საკითხზე, საინტერესო პრაქტიკა შეიქმნა 2015 წელს, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციამ სახალხო დამცველს მიმართა სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარდგენის მოთხოვნით. საქმე ეხებოდა „იეჰოვას მოწმეთა“ მიმდევრების მიერ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სახლის მშენებლობას. ადგილობრივმა თვიმმართველობამ უარი განაცხადა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე. სახალხო დამცველმა წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, კერძოდ, მოსაზრებით მტკიცების ტვირთი უნდა გადასულიყო ადმინისტრაციულ ორგანოზე (სახალხო დამცველის აპარატი, 2015) იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს არ აქვს დისკრეცია შეამოწმოს თუ რამდენად ლეგიტიმურია ამა თუ იმ ჯგუფის რწმენა ან

საშუალება, რითიც ის გამოიხატება, სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, დაადგინა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია და ადმინისტრაციულ ორგანოს დააკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება. აქვე მნიშვნელოვანია, ერთი საკითხის განხილვა. მოქმედი კანონმდებლობით დისკრიმინაციის მსხვერპლს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და სახალხო დამცველს, მაგრამ რეგულირების მიღმაა დარჩენილი ისეთი შემთხვევა, როდესაც მსხვერპლი იყენებს კანონმდებლობით განსაზღვრულ ორივე სამართლებრივ მექანიზმს და საერთო სასამართლოების მიერ დავის განხილვა (სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესვლა) წინ უსწრებს სახალხო დამცველის მიერ დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.. ამ შემთხვევაში, როგორ უნდა მოწესრიგდეს სამართლებრივად სახალხო დამცველის მიერ დაწყებული საქმის განხილვა? თუ უნდა შეწყდეს საქმე, მაშინ განსახილველია სახალხო დამცველის, როგორც დაცვის ალტერნატიული მექანიზმის არსებობის გონივრულობა.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ორ ეტაპიან მტკიცების ტვირთის სტანდარტს, რომელიც შესაბამისობაში ევროდირექტივებთან, მაგრამ საჭიროებს გაუმჯობესებას. თუკი კანონმდებელი გაიზიარებს ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკით დაფუძნებულ სამ ეტაპიან მტკიცების ტვირთს, სამოქალაქო სამართალწარმოება მნიშვნელოვნად დაეფუძნება მხარეთა თანასწორუფლებიანობას და გააუმჯობესდება პროცესი. აღნიშნული პრაქტიკა, მოქმედი კანონმდებლობისგან განსვავებით, მტკიცების პროცესში ითვალისწინებს მესამე, ყველაზე გადამწყვეტ ეტაპს, რაც მოსარჩელეს აღჭურვავს საპროცესო უფლებით განიხილოს, შეაფასოს და გააბათილოს მოპასუხის (დისკრიმინაციის ჩამდენი პირის) მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დაამტკიცოს დისკრიმინაციის ფაქტის შენიღბვის მცდელობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია, პრაქტიკაში სამ ეტაპიანი მტკიცების ტვირთის დაფუძნება. ამასთან, საპროცესო ნორმებს უნდა დაემატოს ფიზიკური და/ან მატერიალური ზიანის მოთხოვნის განსაზღვრის ობიექტური კრიტერიუმები, მათ შორის, უნდა დაზუსტდეს სპეციალური მოსარჩელის მიერ დავის წარმოებისას ზიანის მოთხოვნის უფლება და პირობები.

მსოფლიოში არსებული განსხვავებული სამართლის სისტემებით ჩამოყალიბდა სამოქალაქო სამართალწარმოების მიმართ სხვადასხვა მიდგომები. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ანგლო-ამერიკული (საერთო სამართლის) და კონტინენტური სამართლის სისტემისგან არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოსამართლის როლი და მხარეთა საპროცესო უფლებაუნარიანობა. საერთო სამართლის სისტემა ეფუძნება სრულად შეჯიბრებითობის პრინციპს, სადაც მოსამართლე პასიურ როლშია და პროცესი სრულად დაფუძნებულია მხარეთა შეჯიბრზე. ხოლო კონტინენტური სამართლის სისტემა ეფუძნება ინკვიზიციურობის პრინციპს, რაც ითვალისწინებს მოსამართლის აქტიურ როლს. ორივე

სისტემისთვის მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესი იყოს სწრაფი, ეფექტიანი და სამართლიანი. (ხარიტონაშვილი, ALI/UNIDROIT საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო პრინციპები და წესები, 2022) რელიგიური სამართლის სისტემებში, განსაკუთრებით საინტერესოა საუდის არაბეთის სახელმწიფო, რომელიც სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებს განიხილავს ისლამური კანონით (შარიათი). ისლამური სამართლის ფარგლებში, უკვე არსებობს პრაქტიკა, რომელიც თანასწორობისა და სამართლიანობის კონტექსტში იცნობს დისკრიმინაციის დავებს. შარიათის კანონებით ყველა ადამიანი თანასწორია, რასობრივი დისკრიმინაცია აკრძალულია და მხოლოდ რელიგიის სიყვარული და სიკეთის კეთება არის მნიშვნელოვანი. ისლამური სამართალი იცნობს შრომით ურთიერთობებში სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპებს. ამდენად, დისკრიმინაციის დავები, რა თქმა უნდა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან შედარებით მცირე მოცულობით განხილება ისლამური სამართლით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკა შექმნილია. (Noorfadilla Binti Ahmad Saikin v. chayed Bin Basirun et al., 2010).

კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში, მაგალითად საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის კანონმდებლობით, დისკრიმინაციის დავებში მტკიცების ტვირთი თავდაპირველად ეკისრება მოსარჩელეს, რომელმაც უნდა ამტკიცოს Prima Facie დისკრიმინაციული მოპყრობა დაცული ნიშნით, უნდა წარდგინოს მის ხელთ არსებული ნებისმიერი იურიდიული ფაქტი და მტკიცებულება და დაასაბუთოს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დაცულ ნიშანს შორის. მოსამართლეს აქვს აქტიური როლი მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებების შეგროვებაში და დააბალანსოს არათანაბარ პირობებში მყოფი პროცესის მონაწილეები (დისკრიმინაციის ჩამდენი და დისკრიმინაციის მსხვერპლი). ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი საერთო სამართლის სისტემისგან არის მოსარჩელის საპროცესო უფლებებში გააბათილოს მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები.

დისკრიმინაციის დავებში მტიცების ტვირთის განაწილების საკითხი საერთო და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში მსგავსია ევროკავშირის დირექტივებისა. განსხვავება არის სასამართლოს/მოსამართლის როლში, ერთ შემთხვევაში, სამოქალაქო სამართალწარმოებისას მოსამართლე არის ნეიტრალური არბიტრი, მტკიცებულების წარდგენის პროცესში არ ერთვება და სრულად მხარეთა შეჯიბრებითობაზე არის დაფუძნებული. მეორე შემთხვევაში, უფრო აქტიურ როლშია სასამართლო.

საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის სისტემის შედარებით, შესაძლებელია შევაჯამოთ დისკრიმინაციის დავებში მტკიცების ტვირთის განაწილების განმასხვავებელი საკითხები. კერძოდ, მტკიცების ტვირთი არის მოსარჩელეზე, ორივე შემთხევავში მოსარჩელე არის ვალდებული წარადგინოს პირველადი ინფორმაცია და მტკიცებულებები,

შემდეგ ხდება მტკიცების ტვირთის შებრუნება და ვალდებულება გადადის მოპასუხეზე. საერთო სამართლის პრეცედენტურლი სამართალი ითვალისწინებს მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გაბათილების ვალდებულებას მოსარჩელის მიერ, რაც უფრო მაღალ ალბათობას ქმნის, რომ მოსარჩელეს სასარგებლოდ დასრულდეს დავა.

4.1. მტკიცებულებათა ხელმისაწვდომობა დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ დავებში

მტკიცებულებების იდენტიფიცირება, მოძიება და სასამართლოსთვის წარდგენა მხარეთა უფლებამოსილებაა. სამოქალაქო სამართალწარმოებაში, თითოეულმა მხარემ ზუსტად იცის რაზე დაამყაროს სასარჩელო მოთხოვნა, როგორ დაამტკიცოს ან/და გაქარწყლოს წარმოდგენილი მტკიცებულებები. სწორედ აღნიშნული პროცესი ქმნის სასამართლოს შინაგან რწმენას კანონიერი გადაწყვეტილების მისაღებად. (კაჟაშვილი, 2016) საპროცესო სამართლით მტკიცებულებითი საქმიანობა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა) მტკიცებულებათა შეგროვება, წარდგენა, გამოთხოვა. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ მტკიცებულებებს, რომლითაც უნდა დადასტურდეს მტკიცების საგანი. ამ ეტაპზე, მტკიცებულებების შეგროვება და წარდგენა არის მხარეთა ვალდებულება. ბ) მტკიცებულებათა გამოკვლევა და ურთიერთშეპირისპირება და ანალიზი ხორციელდება ყველა მხარის მონაწილეობით. გ) საბოლოო ეტაპი - მტკიცებულებათა შეფასება, მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებაა. (შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, 2015)

საერთაშორისო პრაქტიკით დისკრიმინაციის დავებში მტკიცებულებების სახით ძირითადად გამოიყენება: სტატისტიკა, სიტუაციური ტესტირება, კითხვარები, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, ექსპერტთა დასკვნები, მოწმეთა ჩვენებები, ახსნა-განმარტებები, ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებები.

მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკის ანალიზით, სხვა კატეგორიის დავებისგან განსხვავებით, დისკრიმინაციის დავის სწორად გადაწყვეტისთვის მტკიცებულებების მოპოვება არის რთული. პირდაპირი დისკრიმინაციის დროს ძირითადი მტკიცებულება არის სიტუაციური ტესტირება, რომელიც ნათლად ასახავს იყო თუ არა ხელმისაწვდომი დისკრიმინაციის მსხვერპლისთვის დაცული ნიშნით ესა თუ ის სერვისი. მაგალითად, როდესაც კონკრეტული ნიშნით (მათ შორის, ეროვნება, სქესი, ასაკი და სხვა) კვების ობიექტი ზღუდავს სერვისს ფიზიკური პირისთვის. საინტერესო პრაქტიკას გვთავაზობს ჩრდილოეთ ირლანდიის კანონმდებლობა, კერძოდ, დისკრიმინაციის დავების განმხილველი თანასწორობის ტრიბუნალის მიერ შემუშავებულია შესაძლო დისკრიმინაციული ფაქტის დადგენის კითხვარი, (ჩრდილოეთ ირლანდიის თანასწორობის კომიტეტის კითხვარი) რომელიც დეტალურ კითხვებს მოიცავს და იძლევა დისკრიმინაციის რისკის შეფასების სრულყოფილ შესაძლებლობას. (ჩრდილოეთ

ირლანდიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აქტის საფუძველზე კითხვარის შევსების წესი) სიტუაციური ტესტირება არის ექსპერიმენტული მეთოდი, რომლის მიზანია დაადგინოს დისკრიმინაცია. კერძოდ, სიტუაციური ტესტირება მოიცავს კონკრეტულ ჯგუფთან დაცული ნიშნის მქონე პირის მოთავსებას და დაკვირვებას რამდენად მოხდება დისკრიმინაცია. მაგალითად, აქტიურად გამოიყენება ბელგიაში, საფრანგეთში, შვედეთში, ნიდერლანდებში, ამერიკის შეერთებული შტატებსა და კანადაში. ქვეყნების პრაქტიკის ანალიზით სიტუაციური ტესტირება გამოიყენება ძირითადად უმცირესობების უფლებების დარღვევის და დისკრიმინაციის დადგენის მიზნით. (რორივი, 2009) მტკიცებულებების მოპოვების სირთულის გათვალისწინებით, მსგავსი პრაქტიკის დანერგვა საქართველოში, საინტერესოა და მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს დისკრიმინაციის მსხვერპლს მტკიცებულებების მოპოვებას. კარგი პრაქტიკა აქვს საფრანგეთს, ობუდსმენდის მიერ შემუშავებულია დისკრიმინაციის დადგენის ტესტი და მისი შევსების/შეფასების მეთოდოლოგია. ტესტი მოიცავს დეტალურ კითხვებს, რომლის შევსება და პასუხების ანალიზი იძლევა სრულყოფილ სურათს, თუ რა ფორმით, ვის მიერ და რა საფუძვლით მოხდა დისკრიმინაცია, რაც იძლევა ფაქტების დადგენის შესაძლებლობას (საფრანგეთის ომბუდსმენდი). მტკიცებულებების სანდოობის უზრუნველყოფისთვის, სიტუაციური ტესტირებისთვის კითხვარის გამოყენება უნდა მოხდეს მკაცრად დადგენილი მეთოდოლოგიით. საფრანგეთში სიტუაციური ტესტირება ძლიერი სამართლებრივი მექანიზმია, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია სარწმუნო მტკიცებულებად. სიტუაციური ტესტირების პრაქტიკა შექმნილი აქვს საქართველოში სახალხო დამცველის ინსტიტუტს, რომელიც ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში იყენებს ამ მექანიზმს. მაგრამ საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, იმისთვის, რომ სასამართლო პროცესში განხორციელდეს დისკრიმინაციის დავებზე სიტუაციური ტესტირების მტკიცებულებად დაშვება, აუცილებელია დარგის სპეციალისტების, პროცესუალისტების მიერ გადაიხედოს ტესტის ჩატარების მეთოდოლოგია და შემუშვდეს საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7[3] კარს დაემატება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე სამართალწარმოებაში სიტუაციური ტესტირების გამოყენების შესაძლებლობა და პირობები.

ხშირია მტკიცებულების სახით სტატისტიკის გამოყენება, განსაკუთრებით ასაკის, არათანაბარი ანაზღაურების, ეთნიკური წარმომავლობის და სხვა სახით დისკრიმინაციის დამტკიცების მიზნით. სტატისტიკა არაპირდაპირი დისკრიმინაციის მტკიცების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა. ერთი მხრივ, სტატისტიკით მტკიცდება, რომ კონკრეტულ პირთა ჯგუფი, სქესის ან სხვა ნიშნით განსხვავებულ მდგომარეობაშია, ვიდრე მეორე ჯგუფი. მაგალითად ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ დაწინაურებისთვის გადამწყვეტი იყო ნამუშევარი საათები და სტაჟი, რომელიც არ

გავრცელდა ნახევარ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლებზე. ამ საქმეში მნიშვნელოვანი გარემოება იყო, რომ ნახევარ განაკვეთზე მხოლოდ ქალები იყვნენ დასაქმებულნი. შესაბამისად, სტატისტიკის საფუძველზე დადგინდა არაპირდაპირი დისკრიმინაცია. (Gerster V Freistaat Bayern, 2017) არაპირდაპირი დისკრიმინაციის სტატისტიკით დადასტურების პრეცედენტული საქმეა - დ.ჰ და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ. ბოშა ბავშვები არახელსაყრელ პირობებში იმყოფებოდნენ სხვა ბოშა ბავშვებთან შედარებით და სწავლობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განკუთვნილ სპეციალურ სკოლებში. ამ საქმეში სასამართლომ სტატისტიკით დაადგინა არაპირდაპირი დისკრიმინაცია. (მ. კვაჭაძე, ნ. ჯუღელი, 2019) ინგლისურ სამართალწარმოებაში აქტიურად გამოიყენება მტკიცებულების სახე, „აფიდავიტი", რომელიც არის მოწმის ფიცის ქვეშ გადმოცემული ჩვენება. 2021 წლის, Allay Ltd v Gehlen (Allay Ltd v Gehlen,) საქმეში, დასაქმებულთა ტრიბუნალის მიერ სწორედ აფიდავიტის საფუძველზე კომპანიის უფროსი მონაცემთა ანალიტიკოსის მიმართ დადგინდა რასობრივი ნიშნით დისკრიმინაცია და შევიწროება. (Allay (UK) Limited v Mr S Gehlen, 2021)

მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს Amicus Curiae ინსტიტუტს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ კატეგორიის დავებში. დოქტრინით, სასამართლოს მეგობრის დასკვნის ავტორი არ უნდა იყოს პროცესში ჩართული პირი, მოტივი უნდა იყოს მხოლოდ პროცესის დახმარება და მას აქვს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი. 2015 წლიდან, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს დაემატა მე-16[1] მუხლი (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 2015), სასამართლოს მეგობრის შესახებ, რომელსაც ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში აქტიურად იყენებს სახალხო დამცველი. საქართველოში სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის დამკვიდრება დადებითად უნდა შეფასდეს (მ. კვაჭაძე, ნ. ჯუღელი, ე. ღვინჯილია და სხვები, გვ. 29-33). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი როლი აქვს დაკისრებული საქართველოს კანონმდებლობით სახალხო დამცველს. (საქართველოს პარლამენტი) კერძოდ, აღჭურვილია სრული მანდატით დაუბრკოლებლად მოიპოვოს და მოიძიოს დოკუმენტაცია, საქმის მასალები, ახსნა-განმარტებები ნებისმიერი პირისგან, მოიწვიოს საექსპერტო დასკვნისთვის სპეციალისტები. სწორედ სახალხო დამცველის მიერ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, გამოყენებული სიტუაციური ტესტირება და მისი შედეგები შეიძლება იყოს ამ კატეგორიის დავებში სარწმუნო მტკიცებულება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დისკრიმინაციის დავების სამოქალაქო წესით განხილვისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახალხო დამცველის მონაწილეობას სასამართლო პროცესში და მსხვერპლის მხარდაჭერას მტკიცებულებების მოპოვების ნაწილში. მიზანშეწონილია, საერთაშორისო პრაქტიკის მსგავსად, საქართველოშიც სასამართლომ აღიაროს სახალხო დამცველის მიერ წარმოებული სიტუაციური ტესტირება

სარწმუნო მტკიცებულებად. ამ მიზნით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7[3] კარს დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე სამართალწარმოებაში უნდა დაემატოს სასამართლო მეგობრის მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა და სიტუაციური ტესტირების გამოყენების საშუალება და განხორციელების პირობები. აღნიშნული გაამარტივებს დისკრიმინაციის მსხვერპლისთვის მტკიცებულებების მოპოვებას, პროცესში გაიზრდება არასამთავრობო ორგანიზაციების, დარგის ექსპერტების მონაწილეობა, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება სასამართლოს სწრაფად და ეფექტიანად მიიღოს საქმეზე გადაწყვეტილება.

4.2. უმცირესობები და მოწყვლადი ჯგუფები დისკრიმინაციის დავებში

4.2.1. სპეციალური მოსარჩელე

2020 წელს, შემუშავდა“შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ” ახალი კანონი. კანონით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (შემდგომში “შშმ პირები”) სამართალწარმოების ხელმისაწვდომობას, ამ მიზნით, დამკვიდრდა ახალი სუბიექტი სამოქალაქო სამართალწარმოებაში - სპეციალური მოსარჩელე. სამოქალაქო საქმეებზე შშმ პირთა უფლებების დაცვა შესაძლებელია კანონიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე, სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციების მიერ. სპეციალური მოსარჩელის სტატუსით ორგანიზაციის რეგისტრაცია ხორციელდება 3 წლის ვადით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში (საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება 2009 წლის 31 დეკემბრის N241 ბრძანება). რეგისტრაციას უზრუნველყოფს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. სამართალწარმოებაში აღნიშნული სუბიექტი სიახლეს წარმოადგენს და განსაკუთრებით საინტერესოა პრაქტიკაში როგორ ხორციელდება ამ ნორმების იმპლემენტაცია. არსებობს შესაძლებლობა, რომ სპეციალური მოსარჩელის მიერ შშმ პირის მიმართ დისკრიმინაციის ფაქტის არსებობისას სასამართლო დავა დაიწყოს მისი უშუალოდ მონაწილეობის გარეშე. სპეციალურ მოსარჩელეს არ სჭირდება კანონიერი წარმომადგენლობის უფლების მინიჭება, რაც თავის მხრივ, წარმოშობს რისკს, სამართალწარმოება შეეწინააღმდეგოს დასაცავი პირის ნებას. შშმ პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონით შემოტანილი სიახლე “სპეციალური მოსარჩელე” ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ “საჯარო ინტერესის მქონე მოსარჩელის” კონცეფციას. საინტერესო პრაქტიკა არის ევროპაში, აშშ, სამხრეთ აფრიკაში და აზიაში. მაგრამ ინდოეთი ითვლება ქვეყნად, სადაც საჯარო ინტერესის სამართალწარმოებამ ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია. ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია საკუთარი უფლებების დაცვის ფინანსური რესურსი, უნარ-ჩვევები და ცოდნა (ხომერიკი, 2020). საქართველოს რეალობაში

საინტერესოა კანონმდებლის პოზიცია რატომ გაჩნდა კონკრეტულ დავებთან მიმართებით აღნიშნული ინსტიტუტი. ამ ეტაპზე, არ არსებობს სიღრმისეული კვლევა კანონმდებლობის იმპლემენტაციის ეტაპზე წარმოჭრილი სირთულეების და საკანონმდებლო ხარვეზების თაობაზე[7]. განსახილველი საკითხია, მხარეთა ნების ავტონომია, ხომ არ არღვევს სპეციალური მოსარჩელის სტატუსით უფლებამოსილების განხორციელება სამოქალაქო სამართალწარმოებაში დისპოზიციურობის პრინციპს. სამართლებრივი სიახლის იმპლემენტაცია, ცხადია, პოზიტიურად უნდა შეფასდეს, იმის გათვალისწინებით, რომ კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვის უფლებამოსილება მიენიჭა ორგანიზაციებს, რომელთაც ამ მიმართულებით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ, რაც გაამარტივებს პროცესებს (შეამცირებს განხილვის ვადებს, ხარჯებს) და გაზრდის შშმ პირთა მართმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე პრაქტიკაში მწირია სპეციალური მოსარჩელის სტატუსით რეგისტრირებული ორგანიზაციები და მათ მიერ შექმნილი სასამართლო პრაქტიკა (3 სპეციალური მოსარჩელე).[8] ნაშრომში მითითებული საერთაშორისო კვლევების გათვალისწინებით, რეკომენდირებულია სპეციალური მოსარჩელის სტატუსი გავრცელდეს სხვა მოწყვლადი ჯგუფების დარღვეული უფლებების დასაცავად, როდესაც დავის სოციალური ბუნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სასამართლო პრაქტიკის შექმნა და ეთნიკური, რელიგიური უმცირესობებისთვის თანასწორობის უზრუნველყოფა. ამასთან, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, სპეციალური მოსარჩელის სტატუსი საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად არის საჯარო წესრიგის დაცვის მიზნით სასარჩელო განხილვა. საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლით Actio popularis პრაქტიკის გამოყენება ხორციელდება დისკრიმინაციის დავებზე, არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით, არამედ სხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დასაცავად. მაგალითად: უნგრეთში, სოლვაკეთში, ხორვატიაში, სერბეთში, იტალიაში ძირითადად გამოიყენება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით, ხოლო ავსტრიისა და გერმანიის კანონმდებლობით, მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის დავებში გამოიყენება. (სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, 2021, გვ. 26)

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია, სახელმწიფომ უზრუნველყოს ამ მიმართულებით დარგის სპეციალისტების და ბენეფიციარების ცნობიერების ამაღლება. როდესაც ვსაუბრობთ მართმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე, აუცილებელია შშმ პირთა უფლებების გათვალისწინება არა მხოლოდ პროცესუალური

[7] შენიშვნა: ამ მიზნით კვლევის ფარგლებში ჩანიშნულია ფოკუს ჯგუფი შშმ პირთა თემის წარმომადგენლებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა სიღრმისეული ინტერვიუს საფუძელზე დადგინდეს პრაქტიკაში მართმსაჯულების ხელმისაწვდომობის სირთულეები და მომზადდეს რეკომენდაციები.

[8] შენიშვნა: 2021 წლიდან 2025 წლის 13 იანვრის მდგომარეობით, მხოლოდ 3 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია რეგისტრირებული.

ნორმებით, არამედ მართლმსაჯულების ადმინისტრირების პროცესშიც, რაც გულისხმობს ინფრასტრუქტურული პრობლემების აღმოფხვრას და სასამართლო პროცესებზე მათ შეუფერხებლად გამოცხადების შესაძლებლობას.[9] ამ მიზნით, აუცილებელია სასამართლოების შენობების სრულად ადაპტირება. (კ.ნადირაძე, ა.არგანაშვილის და სხვები, 2019)

4.2.2. უმცირესობები და მოწყვლადი ჯგუფები დისკრიმინაციის დავებში

საქართველოს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობით სახელმწიფო ვალდებულია აღმოფხვრას ყველა ფორმით დისკრიმინაცია და დაიცვას უმცირესობები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები[10]. საქართველო 2005 წელს გახდა „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული კონვენციის ხელმომწერი ქვეყანა. შესაბამისად, საქართველომ იკისრა ვალდებულება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის შექმნას თანასწორი და ანტიდისკრიმინაციული გარემო. საქართველოში მოსახლეობის 14 პროცენტს შეადგენს ეთნიკური უმცირესობები, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო არის მრავალეთნიკური სახელმწიფო. მიუხედავად საქართველოს მიერ წინ გადადგმული ნაბიჯებისა (საქართველოს თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქალაქო თანასწორობისა და ინეგრაციის 2021 - 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის N356 დადენილგება, 2021) ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი საკითხები საჭიროებს რეგულირებას.

უმცირესობების უფლებების დაცვა და თანასწორობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი გამოწვევა სახელმწიფოსთვის. მათთვის ნაკლებად ან საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი, ანაზღაურებადი სამსახური, განათლება, შემოსავალი, სახელმწიფო სერვისები და სხვა. განსაკუთრებით რთული მოცემულობა არის შშმ პირთა უფლებების დაცვით კუთხით. საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას ჯერ კიდევ 10 წლის წინ შეუერთდა, მაგრამ შშმ პირები ყოველდღიურად აწყდებიან ბარიერებს და ვერ ახდენენ საკუთარი უფლებების რეალიზებას. კერძოდ, შშმ პირთა სტატუსის მინიჭება ჯერ კიდევ სამედიცინო მოდელს ებმის და სახელმწიფომ ვერ განახორციელა სოციალურ მოდელზე გადასვლა, იმ შემთხვევაში თუ შშმ პირი დასაქმდება საჯარო სექტორში, მას ეზღუდება სოციალური სერვისები, მაგრამ იგივე შეზღუდვა არ ვრცელდება კერძო სექტორში

[9] შენიშვინა: 2019 წელს მისაწვდომობის აუდისტის შედეგებით სასამართლოს 65 შენობიდან მხოლოდ 7 აკმაყოფილებდა მინიმალურ სტანდარტს.

[10] განმარტება: ტერმინი უმცირესობები სოციალური მეცნიერების განამარტებით გულისხმობს ეთნიკურად, რასობრივი, კულტურული, გენდერული ან სხვა ნიშნით ადამიანთა ჯგუფს, რომელიც ექვემდებარება დომინანტ ჯგუფს. ტერმინის განმარტება სხვადასხვა დარგის შესწავლის საკითხია, შესაბამისად, ისტორიული, კულტურული და გეოგრაფიული კონტექსტით ხშირად განიცდის ცვლილებას.

დასაქმების შემთხვევაში, სახელმწიფო შემწეობა საარსებო მინიმუმზე ნაკლებია, არ არის უზრუნველყოფილი სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა, სათანადო განათლების უზრუნველყოფა და სხვა (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის, მათ შორის, სოციალურ უფლებათა უზრუნველყოფის ღონისძიებების, 2023 წლის შესრულების ანგარიში).

რელიგიური ნიშნით უმცირესობების დისკრიმინაცია განსაკუთრებით მწვავე საკითხია საქართველოში. ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს არ აქვთ შესაძლებლობა აწარმოონ მშენებლობა მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუდმივად ფიქსირდება მუსლიმი მოსწავლეების მიმართ უფლებების დარღვევები, იკრძალება რელიგიური ლიტერატურის შემოტანა, შრომის კოდექსით გათვალისწინებული საერთო და რელიგიური დღესასწაულების შემთხვევაში უქმეებად გათვალისწინებულია მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დადგენილი დღესასწაულები, საქართველოში მცხოვრები სხვა რელიგიისა და ეთნიკური უმცირესობების რელიგიური დღესასწაულები არ არის აღიარებული (მ. ღავთაძე, ე. ჭითანავა, ა. ხატიაშვილი, მ. ჯიქია, შ. თუთბერიძე. გ. ლომაია, 2020 წელი). კვლევის ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ სახელმწიფოს მხრიდან არ არის მიღებული შესაბამისი ზომები, რომ აღმოიფხვრას დისკრიმინაციული მიდგომა რელიგიური გაერთიანებებისთვის, ეთნიკური უმცირესობების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დისკრიმინაციის დავებში ზემოაღნიშნული მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობა კიდევ უფრო ართულებს საქმის წარმოებას და მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით, გაძლიერდეს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულების მექანიზმები.

5. დასკვნა

სამოქალაქო სამართალწარმოებისას დისკრიმინაციის დავებში მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი მოქმედი კანონმდებლობით თანხვედრაშია ევროკავშირის სამართალთან. მაგრამ პრაქტიკაში მტკიცების ტვირთის განაწილება ქმნის სირთულეებს მხარეებისთვის. ერთი მხრივ, მოსარჩელეს აქვს ვალდებულება ამტკიცოს დისკრიმინაციის ფაქტი და შექმნას ვარაუდი, როდესაც მისთვის არ არის ხელმისაწვდომი მტკიცებულებები, მეორე მხრივ, მოპასუხეს ეკისრება გაუმართლებელი ტვირთი გააქარწყლოს დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი. კვლევის ფარგლებში განხორციელდა სამართლის სისტემების შესწავლა და გამოიკვეთა კარგი პრაქტიკა. კერძოდ, საერთო სამართლის სისტემის ქვეყნები დისკრიმინაციის დავებში იყენებს სამ ეტაპიანი მტკიცების ტვირთის სტანდარტს, რის საფუძველზეც მოსარჩელეს ეძლევა შესაძლებლობა დავის დაწყების ეტაპზე წარადგინოს მისთვის ხელმისაწვდომი მტკიცებულებები, შემდგომ ხორციელდება

მტკიცების ტვირთის შებრუნება და მესამე, გამდაწყვეტ ეტაპზე მოსარჩელეს კვლავ ეძლევა შესაძლებლობა გააბათილოს მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და დაამტკიცოს დისკრიმინაციის ფაქტის შენიღბვის მცდელობა. მოცემული პრაქტიკის საპროცესო ნორმებში გაზიარების შემთხვევაში, დისკრიმინაციის მსხვერპლს, სუსტ მხარეს, ეძლევა შესაძლებლობა, მტკიცებულებები, რომელიც მისთვის არ არის ხელმისაწვდომი, გააქარწყლოს მოპასუხის მიერ წარდგენის შემდგომ, რაც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო თანასწორობას და გაზრდის დისკრიმინაციის მსხვერპლთა შესაძლებლობას წარმატებით დაასრულდეს დავა.

ნაშრომში მოცემული საერთაშორისო პრაქტიკისა და დოქტრინის მიმოხილვით, ცხადია, რომ დისკრიმინაციის დავების განხილვისას ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს დისკრიმინაციის მსხვერპლისთვის მტკიცებულებების მოპოვება. როგორც კვლევაში აღინიშნა სასამართლო პრაქტიკის შესწავლით, დისკრიმინაციის მსხვერპლი წარმოადგენს სუსტ მხარეს და მისთვის არ არის ხელმისაწვდომი საქმისთვის მნიშვნელოვანი და არსებითი მტკიცებულებები, შესაბამისად, სამოქალაქო წესით განხილვისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახალხო დამცველის საქმეში მონაწილეობას და მსხვერპლის მხარდაჭერას მტკიცებულებების მოპოვების საკითხში. ამ ეტაპზე, სახალხო დამცველი დისკრიმინაციის მსხვერპლის მოთხოვნით ერთვება პროცესში და წარადგენს სასამართლო მეგობრის მოსაზრებას. შესაბამისად, კვლევის შედეგებით წარმოდგენილია მსჯელობა, რომ ამ კატეგორიის დავების მარეგულირებელ საპროცესო ნორმებს დაემატოს სასამართლო მეგობრის მოსაზრების წარდგენის ვალდებულება, რაც ხელს შეუწყობს სასამართლოში დავის დროულად და ეფექტიანად განხილვას. საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველს აქვს რესურსი, რომ ფართო პრიზმით შეისწავლოს საკითხი, მოიძიოს საერთაშორისო პრაქტიკა, საჯარო თუ კერძო სექტორიდან გამოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტაცია და შეაფასოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები. აგრეთვე, მნიშვნელოვანია, სასამართლომ სარწმუნო მტკიცებულებად მიიღოს სახალხო დამცველის მიერ წარმოებული სიტუაციური ტესტირების შედეგები და სხვა მის მიერ შექმნილი მტკიცებულებები.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მხრიდან შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით გადადგმულია რიგი ნაბიჯები, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას შშმ პირთა დისკრმინაციის დავებთან მიმართებით იპყრობს ახალი საპროცესო სუბიექტი - სპეციალური მოსარჩელე. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით ამ სიახლის დამკვიდრება, ცხადია, ხელს უწყობს მართმსაჯულების ხელმისაწვდომობას და პროცესუალურ თანასწორობას. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მრავალი ორგანიზაცია ახორციელებს შშმ პირთა დაცვას, ამ ეტაპზე, სსიპ საჯარო რეესტრის ერვონულ სააგენტოში მხოლოდ 3 სპეციალური მოსარჩელეა

რეგისტრირებული. უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური მოსარჩელის სტატუსით შესაძლო დისკრიმინაციის ფაქტზე დავის დაწყებისთვის ორგანიზაციას არ ესაჭიროება შშმ პირის მიერ რწმუნებულების მინიჭება, ამდენად, არსებობს მაღალი ალბათობა, რომ კონკრეტული ორგანიზაციის მიერ პრაქტიკის შექმნის მიზნით, შესაძლებელია დაიწყოს დავა შშმ პირის ნების საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფომ სამიზნე ჯგუფებისთვის უზრუნველყოს ცნობიერების ამაღლება. კვლევის ფარგლებში წარმოდგენილია მსჯელობა, სპეციალური მოსარჩელის სტატუსის ("საჯარო ინტერესის მქონე მოსარჩელის" კონცეფციის) სხვა მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური უმცირესობების მიმართ გავრცელების შესახებ, როგორც ეს სხვა ქვეყნების მაგალითზე არის წარმოჩენილი კვლევაში.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

1. ახალაძე მ., (2018). მტკიცების ტვირთი. თბილისი: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი (2015-2017 წლის I ნახევარი), თილისი, 2018 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეროვნული სასამართლოს პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება.
2. დემეტრაშვილი ა., და კობახიძე ი., (2011). კონსტიტუციური სამართალი (2011 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით), საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“ ISBN-978-9941-9125-9-7, თბილისი, 2011
3. ვაჩაძე მ., თორდია ი., ტურავა პ., წკეპლაძე ნ., (2005). საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარები. თბილისი: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2005 წ. 69 გვ.
4. კაჟაშვილი, გ. (2016). მტკიცებულებების უზრუნველყოფისა და უზრუნველყოფის გარანტიის როლი საქმისწარმოებაში. სამართლის ჟურნალი N1, 81
5. კვაჭაძე მ., ჯუღელი ნ., ღვინჯილია ე., და სხვები. - სასამართლო მეგობრის ინსტიტუტი (Amicus Curiae) როლი სამართალწარმოების პროცესში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზისი ცენტრი, 18.09.2018, თბილისი.
6. კვაჭაძე მ., და ჯუღელი ნ., (2019). დისკრიმინაციის აკრძალვა საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში. თბილისი: გამომცემლობა იურისტების სამყარო.
7. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., (2007). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა). თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2007 წ, 201 გვ.
8. ლილუაშვილი თ., (2005). სამოქალაქო პროცესუალური სამართალი II გამოცემა. თბილისი: II გამოცემა, GIZ თბილსი, 149-162 გვ.
9. ლოლაძე ბ. (2012), სოციალური სახელმწიფო- საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის, ჟურნალი „ადამინის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები“, GIZ, თბილისი, 2012 წ. 107-108 გვ.
10. მესხიშვილი ქ., (2022). მტკიცებულებათა სტანდარტი დისკრიმინაციის სამართალში. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, N10/2022, 22-23 გვ.
11. ქურდაძე შ., და ხუნაშვილი ნ., (2015). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი (მეორე გამოცემა, შევსებული და გადამუშავებული). გამომცემლობა - მერიდიანი, თბილისი, 249-252 გვ.
12. შუტერი ო. დე, ს. დ. (2021). თანასწორობისა და ევროპული ანტიდისკრიმინაციული სამართლის სამი მოდელი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა,. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
13. შველიძე, ზ. (2019). სამოქალაქო მოთხოვნათა ფარგლები შრომითი დისკრიმინაციის დავისას. თბილისი: სადისერტაციო ნაშრომი, 2019 წ. 199 გვ. .
14. ხარიტონაშვილი ნ. (2022). ALI/UNIDROIT საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო პრინციპები და წესები. ბონა კაუზა, 33-52 გვ.

15. ხარიტონაშვილი ნ. (2024). სოციალური კონტექსტი სამოქალაქო პროცესში მდგრადი განვითარებისთვის. ევროპული სამეცნიერო ჟურნალი, 30 (37), 382, 2024 წ https://doi.org/10.19044/esj.2024.v20n37p382
16. ჰაგენლოხი. უ. (2018). მტკიცების ტვირთი გერმანულ საპროცესო სამართალში. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ).
17. Coldston A. James (2006). Public Interest Litigation in Central and Eastern Europe: Roots, Prospects, and Challenges. Doi: 10.1353/hrq.2006.0018
18. Deva, S. (2009). Public Interest Litigation in India: A Critical Review. SSRN: https://ssrn.com/abstract=1424236
19. McKay B. Robert, Civil Litigation and the Public Interest, 31 U. KAN. L. REV. 355 (1982-1983).
20. Rorive I. (2009), Proving Discrimination Cases the Role of Situation Testing, Swedish Centre For Equal Rights https://cutt.ly/drx8Z2NS
21. Farkas L., O'Farrell, Reversing the burden of proof: Practical dilemmas at the European and national level, Brussels, 2014 DOI: 10.2838/05358

ნორმატიული აქტები

22. საქართველოს კონსტიტუცია, საკანონმდებლო მაცნე, 24/08/1995, დოკუმენტის ნომერი 786
23. საქართველოს ორგანული კანონი, შრომის კოდექსი, საკანონმდებლო მაცნე, გამოქვეყნების თარიღი სსმ 75, 27/12/2010, დოკუმენტის ნომერი 4113-რს.
24. საქართველოს კანონი, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, საკანონმდებლო მაცნე, გამოქვეყნების თარიღ 07/05/2014, რეგისტრაციის N2391-IIს.
25. საქართველოს კანონი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ, საკანონმდებლო მაცნე, გამოქვეყნების თარიღი 28/07/2020, დოკუმენტის ნომერი 6823-რს.
26. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საკანონმდებლო მაცნე, გამოქვეყნების თარიღი 47-48, 31/12/1997, რეგისტრაციის ნომერი 1106.
27. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, საკანონმდებლო მაცნე, ცვლილების გამოქვეყნების თარიღი 10/07/2015, რეგისტრაციის ნომერი 3900-რს.
28. საქართველოს ორგანული კანონი, სახალხო დამცველის შესახებ, ცვლილებების რეგისტრაციის თარიღ 07/05/2014, რეგისტრაციის ნომერი 2395-IIს.
29. საქართველოს თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 -2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის N356 დადენილგება, საკანონმდებლო მაცნე, გამოქვეყნების თარიღი 16/07/2021, რეგისტრაციის ნომერი 356.

30. „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება, გამოქვეყნების თარიღი 31/12/2021, რეგისტრაციის ნომერი 797.
31. "საქართველოს პროკურატურის მიერ შემუშავებული გენდერული თანასწორობის 2022-2027 წლების სტრატეგია", საქართველოს პროკურატურა, თბილისი,
32. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, გაერო, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, გამოქვეყნების თარიღი 02/05/2014, რეგისტრაციის ნომერი 14/25
33. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაერო, 1948
34. ადამიანის უფლებათა და ძირითადად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, რომი, 4/11/1950
35. საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, საკანონმდებლო მაცნე, ძალაში შესვლის თარიღი 03/08/1994.
36. რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ საერთაშორისო კონვენცია, საკანონმდებლო მაცნე, ძალაში შესვლის თარიღი 02/07/1999, რეგისტრაციის ნომერი14-27
37. კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ძალაში შესვლის თარიღი 25/11/1994, მ
38. ევროპის საბჭოს დირექტივა 2000/43/EC. (29/06/2000). ბრიუსელი: ევროპის საბჭო.
39. ევროპის საბჭოს დირექტივა 2000/78/EC. (27/11/2000). ბრიუსელი: ევროპის საბჭო.

ანგარიშები, რეკომენდაციები და დოკუმენტები

40. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში: „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“, 24/02/2022, თბილისი, იხ. ბმული: https://cutt.ly/nrx9JBw4
41. საფრანგეთის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის, ევროდირექტივების 2000/43 და 2000/78 იმპლემენტაციის 2022 წლის ანგარიში (1049), ბრიუსელი: ევროპის საბჭო. იხ. ბმული: https://cutt.ly/Qrx9XBV7
42. „უმცირესობების უფლებების დაცვა: პრაქტიკული გზამკვლევი ყოვლისმომცველი ანტიდიკსრიმინაციული კანონმდებლობის შემუშავებისთვის“, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, ჟენევა. იხ. ბმული: https://cutt.ly/yrx3NMHe
43. კ. ნადირაძე, ა.არგანაშვილის და სხვები. (2019). სასამართლო შენობების მისაწვდომობის შეფასება შეზღუდული შესძლებლობის მქონე პირთათვის. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR) იხ. ბმული: https://cutt.ly/Irx9D0AO

44. ლ. ფარკასი და ორლაფ ო ფარელი. (2014). მტკიცების ტვირთის შებრუნების პრობლემური საკითხები ევროპულ და ეროვნულ დონეზე. ბრიუსელი: ევროპის საბჭო. იხ. ბმული: https://cutt.ly/crx9Sym5
45. მ. ღავთაძე, ე. ჭითანავა, ა. ხატიაშვილი, მ. ჯიქია, შ. თუთბერიძე. გ. ლომაია. (2020 წელი). რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში 2010-2019 წწ ანგარიში. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) 2020 წელი. იხ. ბმული: https://cutt.ly/Krx9AsRH
46. კვლევა მომზადებულია სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მიერ მდგრადი განვითარების მიზნების ფონდის (SDG Fund) მხარდაჭერით „სპეციალური მოსარჩელე პრაქტიკის მიმოხილვა“ 2021.
47. საფრანგეთის რესპუბლიკის ომბუდსმენდის მიერ შემუშავებული დისკრიმინაციის შესწავლის მეთოდოლოგიები. იხ. ბმული: https://cutt.ly/2rx3ZPhi
48. სახალხო დამცველის აპარატი. (2015). სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს, მოსარჩელე ა.ვ. თ.ც. და ნ.ბ. საქმე 43/8. იხ. ბმული: https://cutt.ly/urx9PRIj
49. საქართველოს მთავრობის განკარგულება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის, მათ შორის, სოციალურ უფლებათა უზრუნველყოფის ღონისძიებების, 2023 წლის შესრულების ანგარიშის“ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის შესახებ N100, 5/08/2024. იხ. ბმული: https://cutt.ly/yrx3jyof
50. ჩრდილოეთ ირლანდიის თანასწორობის კომისიის კითხვარები და მეთოდოლოგიები იხ. ბმული: https://cutt.ly/9rx8qbty
51. ხომერიკი, ქ. (2020). სპეციალური მოსარჩელე საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში, კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. იხ. ბმული: https://cutt.ly/9rx9UwR9

სასამართლოს გადაწყვეტილებები

52. ას-1203-1130-2015, 1/06/2016 იხ. ბმული: https://cutt.ly/rrx96dRp
53. ას-1294-1214-2015, 27/06/2016 იხ.ბმული: https://cutt.ly/brx968gJ
54. ას-872-830-2013, 17/10/2014, იხ. ბმული: https://cutt.ly/Yrx3qYHY
55. D.h. and Others v. the Czech Republic 57325/00 იხ. ბმული: https://hudoc.echr.coe.int/fre?i=002-2439
56. McDonnell Douglas Corp. v. Green 1973 იხ. ბმული: https://cutt.ly/Krx99U1f
57. Zarb adami v Malt, 17209/02 (2006), იხ. ბმული: https://hudoc.echr.coe.int/eng?i=002-3267
58. Allay (UK) Limited v Mr S Gehlen (2021), UKEAT/0031/20/AT (Employment Appeal Tribunal), იხ. ბმული: https://cutt.ly/6rx90spZ

59. Case 109/88, Danfoss CJEU 3199, 17/10/1989 (CJEU). იხ. ბმული: https://cutt.ly/jrx9N9QQ
60. Case C-127/92, Pamela Enderby, CJEU I-5535, 27/10/1993 (CJEU) იხ.
ბმული: https://cutt.ly/srx9B4Io
61. ECtHR, Case of Baka v. HUNGARY, [GC], no. 20261/12, 23/ 06/2016, იხ.
ბმული: https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-163113